სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	**89**	**100**

შემფასებელი:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
თარიღი: 14.04.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **მიხეილ ჯინჯოლიას** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (შევიდა ცვლილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის N1/163 განკარგულებით) დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში, კანდიდატის - მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

1. **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით.**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; ანტიკორუფციული ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მიხეილ ჯინჯოლიას დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა სპეციალური ფორმების მიხედვით შევსებული რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის პროცესში უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და გამოარჩევენ მის პატიოსნებას, თავმდაბლობას, სიმარილისმოყვარეობას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მიხეილ ჯინჯოლიას გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები მიხეილ ჯინჯოლიას გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის საკუთარი სიტყვის ერთგული, კვალიფიციური და პრინციპული პიროვნება. რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღნიშნოს, რომ იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

კანდიდატის <u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ჯინჯოლია თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, თავაზიანი და კორექტული. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ მიმდინარეობს. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, მიხეილ ჯინჯოლია დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად არჩევასთან და მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, - ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ გამოტანილი განაჩენების შესწავლით მიღებულ ინფორმაციასა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღ-ლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2025 წლის 18 მარტს, მიხეილ ჯინჯოლიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილი იქნა მიხეილ ჯინჯოლიას მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი განაჩენები, კერძოდ, - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 მაისის N1/5796-22, 2023 წლის 15 ივნისის N1/6857-22 და 2023 წლის 20 ოქტომბრის N1/996-23 განაჩენები.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების შესწავლის და საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მიხეილ ჯინჯოლია კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. კანდიდატის პასუხები უმეტეს შემთხვევაში განმტკიცებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თუმცა არასრული პასუხები გასცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით დასმულ ზოგიერთ შეკითხვას.

საბოლოოდ მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ვინაიდან საჯარო მოსმენის პროცესში დასმულ საკითხებზე კანდიდატმა ძირითადად იმსჯელა არგუმენტირებულად და დამაჯერებლად.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლიას აქვს ხანგრძლივი პროფესიული და მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება. მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდი-დატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკით-ხების გარშემო, არის დამაჯერებელი და თანმიმდევრული.

<u>წერის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ჯინჯოლიას მიერ გამოტა-ნილი განაჩენებიდან გამომდინარე, იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. ამასთან, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. შესწავლილ დოკუ-მენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი, განაჩენების დასაბუთებისას, იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, ასევე გამოყენებული აქვს საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის

თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე თანმიმდევრულად, ნაილად და ლოგიკურად გადმოსცა საკუთარი აზრი.

<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u> შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლია მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა. აღსანიშნავია საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში. საქმეთა 100% შემთხვევაში აგრეთვე დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 96,3% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (990 დღეში) დასრულებული აქვს 5203 საქმე (დღეში საშუალოდ 5,3 საქმე), რაც ძალიან კარგი შედეგია.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით</u> კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ მიხეილ ჯინჯოლიას აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ასევე ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

<u>პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლია აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

მიხეილ ჯინჯოლიამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა“), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული“. 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა“. 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა. 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)“ და სხვა.

კანდიდატი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით, არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** ითითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ **მიხეილ ჯინჯოლიას** მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **89** ქულას.

შემფასებელი : **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 14.04.2025